ვუსურვოთ შემდგომშიც ასეთი წარმატებები

მაყურებელი არ მოელოდა, რომ 15 ივნისს მორიგ კალენდარულ მატჩში ლენინგრადის "ზენიტთან" თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები დაარღვევდნენ უკანასკნელ შეხვედრებში გამომუშავებულ ტრადიციას და პირველ ათ წუთში ბურთს ვერ გაიტანდნენ. მოხდა პირიქით: მე-19 წუთზე ლენინგრადელმა კომაროვმა გვერდი აუქცია "დინამოს" დამცველს ნაუმევს, პირისპირ დადგა მეკარესთან და ანგარიში გახსნა _ 1:0.

სტუმრების მიერ გატანილმა ბურთმა ვერ შეარყია თბილისელთა რწმენა გამარჯვებისადმი. მათ კიდევ უფრო გააცხოველეს თამაშის ტემპი და მალე სძლიეს ლენინგრადელთა წინააღმდეგობას.

30-ე წუთზე ს. ჯეჯელავამ გაიტაცა ბურთი და, როდესაც საჯარიმო მოედანს მიუახლოვდა, იგი პაიჭაძეს გადასცა. "ზენიტის" დამცველები ეკვეთნენ მას, მაგრამ პაიჭაძე, როგორც ყოველთვის, არც ახლა დაიბნა, შეძლო რამდენიმე მოთამაშის მოტყუება, შექმნილი მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ბურთი თავისუფლად მყოფ გ. ჯეჯელავას მიაწოდა, მან კი ძლიერი დარტყმით იგი სტუმრების კარში მოაქცია. ეს იყო შესანიშნავი კომბინაცია. 35-ე წუთზე პაიჭაძემ შემოუარა მარცხენა ფრთას, 3 ლენინგრადელი დამცველი შეეცადა იერიშის მოგერიებას, მაგრამ უშედეგოდ. იგი შურდულივით მიუახლოვდა კარს და ანგარიში გაადიდა.

პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდება, ბურთი გამუდმებით სტუმრების საჯარიმო მოედანთან ტრიალებს. მარჯვენა ფრთაზე გადასულმა პაიჭაძემ ისევ იხმარა ჩვეული ხერხი, დასძლია დამცველების წინააღმდეგობას და ბურთი საჯარიმო მოედანზე ჩააწოდა. ს. ჯეჯელავამ ეს შემთხვევაც გოლით დააგვირგვინა. რამდენიმე წუთის შემდეგ თბილისელთა დაცვის მიერ დაშვებული ტაქტიკური შეცდომა ლენინგრადელებმა კარგად გამოიყენეს და ერთი საპასუხო ბურთი გაიტანეს.

მეორე ტაიმში ბრძოლა გამწვავდა. თბილისელებმა მეოთხე ბურთი მოათავსეს სტუმრების ბადეში. თამაშის დამთავრებისას ბერეჟნოიმ მეხუთე ბურთი გაიტანა. ამის შემდეგ სტუმრებს ანგარიშის გათანაბრების ყველა იმედი დაეკარგათ, მათ უხეშობას მიჰყვეს ხელი, მაგრამ მსაჯმა ამის საშუალება არ მისცა და "ზენიტის" ერთი მოთამაშე ბოლო წუთებში კიდეც გააძევა მოედნიდან.

მატჩი დამთავრდა თბილისის "დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით _ 5:2.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს დინამოელებმა პირველობა უჩვეულოდ დაიწყეს. მოსკოვში ზედიზედ ორმა დამარცხებამ ისინი პირველ ხუთეულსაც კი მოსწყვიტა. ეს შემთხვევა აშკარა საფრთხის წინ აყენებდა მათს სპორტულ ავტორიტეტს, მაგრამ ამ მარცხიდან ფეხბურთელებმა გონივრული დასკვნები გამოიტანეს და გადაახალისეს თამაშის ტაქტიკა, რამაც შესანიშნავი შედეგი მოგვცა. ახლა ისინი მთელი ფრონტით უტევენ, თამაშში ჩაბმულია მთლიანად თავდამსხმელთა ხუთეული, რომელსაც დიდ დახმარებას უწევს ნახევარდაცვა. საბოლოო დარტყმისათვის პაიჭაძეს აღარ ეძებენ და მოწინააღმდეგის კარში ყველა თავდამსხმელი ბურთს თვითონ გზავნის. კარგად არის გამოყენებული ს. ჯეჯელავას ზუსტი და ძლიერი დარტყმები, დაცვას, და რაც მთავარია, ნახევარდაცვას, მჭიდრო კავშირი აქვს თავდასხმასთან.

ახლა თბილისის "დინამო" გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზეა, ხოლო მიღებული და გატანილი ბურთების შეფარდებით გათამაშების ლიდერს მოსკოვის "დინამოსაც" კი უსწრებს. წინ კიდევ 14 მატჩია, თბილისელები მზად არიან ცხარე ბრძოლისათვის. ვუსურვოთ მათ, რომ ასეთი ენერგიული, მოფიქრებული და შედეგიანი მატჩები ჩაატარონ ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების სტადიონებზეც.

კ. მახარაძე.
"ახალგაზრდა კომუნისტი", 17 ივნისი, 1947 წ.